საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში წინანდლის ქ №10-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტოდ წარმოდგენილმა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში წინანდლის ქუჩა №10-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. "ვატო"-ს მიერ (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ბ. ბატიაშვილი).

ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8-ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული დატვირთვა 70 კგ/სმ2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50 კგ/მ2.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის თანახმად სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, პროექტის მიხედვით შენობა რკინაბეტონის ფილის (H=70 სმ) მეშვეობით დაფუძნებულია თიხნარებზე საანგარიშო წინაღობით R0=2.5 კგ/სმ2, E=210 კგ/სმ2;

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირიანი სიერცული სისტემა, ხისტი კვანძებით. შენობა გეგმაში მრავაკუთხა მოხაზულობისაა, თავდაპირველ ვარიანტში შენობა 4-სართულიანი იყო, სარდაფით, კორექტირებული პროექტის მიხედვით ხდება "1-4"-ღერძებში 1 სართულის, ხოლო "4-8"-ღერძებში 3-სართულის დაშენება.

შენობის სვეტების განიკვეთის ზომები იცვლება შენობის სიმაღლის მიხედვით, სარდაფის დონიდან 5.72-ნიშნულამდე კვეთის ზომებია 50X50 სმ. ხოლო ზემოთ 40X40 სმ. სარდაფის და დიაფრაგმის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა–სისქით 30 სმ, სართულშუა გადახურვები 5.72-მდე შესრულებულია წიბოვანი ფილებით, ფილის სისქე h=16 სმ, წიბოების ზომები 40X50 სმ. ხოლო 5.72-ნიშნულის ზემოთ ფილები წიბოების გარეშეა სისქით b=20.0 სმ; რიგელები ზომებით 40X50 სმ მხოლოდ პერიმეტრზეა განლაგებული; სართულშუა გადახურვის ფილები სვეტებთან მიერთების ადგილებში გაძლიერებულია დამატებითი არმატურის ბადით.

სართულების დამატების გამო საჭირო გახდა სვეტების გაძლიერება, სვეტების გაძლიერება ხდება ლითონის ელემენტებით მოჩარჩოებით 12.32-ნიშნულამდე.

ბეტონის კლასი ყველა სახის მზიდი კონსტრუქციებისათვის მიღებული "B-25".

პროექტის მიმართ გვქონდა შენიშვნები რკინაბეტონის ელემენტების არმირების, სვეტების გაძლიერების შესახებ. აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა ავტორის მიერ პროექტირების პერიოდში.

საექსპერტოდ წარმოდგენილ პროექტის კორექტირებული კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

შ.პ.ს. "არკონსი"-ს დირექტორი: ლ.კურტანიძე